მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 თვის ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახების, შშმ პირების,დედ-მამით ობოლი ბავშვები, ახლაშობილთა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახების მატერიალურ დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვას. დახმარების ოდენობა გაიცემა მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მიხედვით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და დახმარების თანხა ჩაერიცხება მოსარგებლის ან ქვეპროგრამის შინაარსიდან გამომდინარე იმ დაწესებულების საბანკო რეკვიზიტებზე, რომელმაც მომსახურება გაუწია ბენეფიციარს.

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 425,3 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 376,9 ლარი, რაც გემის 88,6 %-ია. ამ ხარჯებიდან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების დახმარებას მოხმარდა 87,750 ლარი, ანუ გახარჯულია გეგმის 99,9 %-ი, ხოლო სამედიცინო მომსახურების თანდაფინანსების და მედიკამენტების ღირებულების დაფინანსებისათვის გაწეული იქნა 175,9 ლარი ანუ ათვისებულია ექვსი თვის გეგმის 95,3 %-ი.

საანგარიშო პერიოდში სოციალური პროგრამის ფარგლებში 42 მრავალშვილიანმა ოჯახმა მიიღო 25,825 ლარის ფულადი დახმარება, დედ-მამით ობოლი ბავშვის ოჯახმა 3600 ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებულმა ოთხმა ბენეფიციარმა 6000 ლარი, ახალშობილთა 58 ოჯახმა 19 340 ლარი, 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების ოჯახებს კომუნალური მომსახურებისთვის 8 520 ლარი, ტრანსპორტით მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად დიალეზზე მყოფ 11 ბენეფიციარს საბანკო რეკვიზიტებზე ჩაერიცხება 9 380 ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ორ ოჯახს და ერთ დაზარალებულის ოჯახს გაეწია 3600 ლარის დახმარება, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარლებელ 36 ოჯახმა მიიღო 57,778 ლარის ფულადი დახმარება. ამ პერიოდში დევნილთა დახმარების ხარჯმა შეადგინა 1150 ლარი, ხოლო მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ხარჯმა 4 400 ლარი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სამედიიცნო მომსახურებისა და მეიდკამენტების ღირებულების დასაფარავად გეგმით გათვალისწინებული იყო 184,40 ათასი ლარი, მიმდინარე წლის პირველი ივლისის მდგომარეობით მომსახურების ხარჯმა კი შეადგინა 175,882 ლარი რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,3 %-ი. ამ ხარჯებიდან მედიკამენტების ღირებულების დასაფარავად დახმარება მიიღო 758 ბენეფიციარმა, ხოლო სამედიცინო მომსახურება ჩაიტარა 255 პირმა, განაცხადის შესაბამისად დაკმაყოფილდა გულის თანდაყოლილი პათოლოგიით, ეპილეფსიითა და ცერემბრალური დამბლით დაავადებული 7 ბენეფიციარის მოთხოვნა და მომსაუხრებისათვის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას გადაერიცხა 955 ლარი, მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსხურება ისარგებლა 9 ბავშვმა და მიიღო 2700 ლარის მომსახურება. ონკოდაავადებულ 124 ბენეფიციარს გაეწია 30,807 ათასი ლარის დახმარებ. სამედიცინო მომსახურების ხარჯებიდან C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის

განსაზღვრისათვის დახმარება მიიღო 34 ბენეფიციარმა, რომლის მომსახურების ღირებულება 5874 ლარი გადაერიცხა შესაბამის სამედიიცნო დაწესებულებას.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ განათლების ,,დღის ცენტრი“ (6500 ლარი) და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 31,133 ათასი ლარი, სულ ამ მუხლზე გახარჯულია 37,6 ათასი ლარი.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები. შესწავლილი იქნა მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების მდგომარეობა და მომზადდა მასალები მათი ერთჯერადი ფულადი დახმარების თაობაზე, ასევე სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში.